სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს სასწავლო ცენტრის 2023 წლის საქმიანობის ანგარიში

<u>სასწავლო ცენტრის</u>
<u>მიზნებია:</u>

- ტრენინგების მონაწილეები მოისმენენ და პრაქტიკული სავარჯიშოებით გაიღრმავებენ ცოდნას, სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების საკანონმდებლო საფუძვლებთან, ფაზებთან, ეტაპებთან, საშუალებებთან, მეთოდებთან, პროცედურებთან, ინსტრუმენტებთან დაკავშირებით.
- ტრენინგ-კურსებში წარმოდგენილი იქნება შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ შესყიდვების განხორციელების პროცესების კომპლექსური მართვის პრინციპები/მიდგომები და მსოფლიო გამოცდილება აღნიშნული მიმართულებით.
- ტრენინგ-კურსებში წარმოდგენილი და განხილული იქნება საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა, ასევე თანამედროვე გამოცდილება, რომელიც დაეხმარება სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში დასაქმებულ საჯარო მოსამსახურეებს სახელმწიფო შესყიდვების კანონშესაბამის განხორციელებაში, რაც გულისხმობს, სახელმწიფო ბიუჯეტის გამჭვირვალედ ხარჯვას, კონკურენტუნარიანი გარემოს შექმნას სახელმწიფო შესყიდვების პროცედურებში მონაწილე ნებისმიერი პირისთვის.
- ტრენინგები დამატებით ითვალისწინებს ორგანიზაციაში შესყიდვებთან დაკავშირებული ზოგიერთი გავრცელებული პრობლემის იდენტიფიცირებას და მათ განზოგადებას, პრობლემების გამომწვევი მიზეზების გამოვლენას, ქმედებების დაგეგმვას და ა.შ.

აღნიშნულის მიღწევა დაგეგმილია სასერთიფიკატო და ტრენინგ-პროგრამების, სემინარების, სამუშაო შეხვედრების, კადრების პროფესიული უნარების გაუმჯობესების, სტაჟირების პროგრამებში ჩართვისა და შემდგომი დასაქმების ხელშეწყობის გზით.

სასწავლო
კურსები:

- სასწავლო ცენტრის ძირითადი სასწავლო კურსის სახელწოდებაა -სახელმწიფო შესყიდვების კურსი". ტრენინგის ხანგრძლივობაა - 35 აკადემიური საათი. ტრენინგის დაწყებისთანავე, მსმენელებს ელექტრონულად ეგზავნებათ სასწავლო და სხვა სახის მეთოდურ-პრაქტიკული გამოცემები, შესყიდვების პროცედურების გზამკვლევი და ელექტრონული სისტემის მომხმარებლის სახელმძღვანელო, ასევე სხვა სასარგებლო ლიტერატურა.
- კურსის ხანგრძლივობის გათვალისწინებით, სამუშაო დღის განმავლობაში ეწყობა ყავის შესვენებები.
- სასწავლო კურსის წარმატებულად დასრულების შემდეგ მონაწილეებს გადაეცემათ სამი სხვადასხვა კატეგორიის („დამაკმაყოფილებელი", „კარგი",
„წარმატებული") სერთიფიკატები.

2023 წელს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს სასწავლო ცენტრის ფარგლებში განხორციელდა ტრენინგები რამდენიმე განსხვავებული პროგრამით:

- **"საჯარო შესყიდვების შესახებ" ახალი კანონის წარდგენა;**
- **„სახელმწიფო შესყიდვების კურსი";**
- **„ენერგოეფექტური საჯარო შესყიდვების შესახებ მეთოდური მითითებები და რეკომენდაციები შემსყიდველი ორგანიზაციებისთვის";**
- **სასწავლო კურსი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" შერჩეულ საკითხებზე;**
- **სასწავლო კურსი „როგორ მივიღოთ მონაწილეობა სახელმწიფო შესყიდვებში და მივაღწიოთ წარმატებას".**

ჩვენი პარტნიორები და დონორები:

სასწავლო ცენტრი როგორც გასულ, ისე მიმდინარე წელს, აქტიურად თანამშრომლობდა უცხოურ და ადგილობრივ ორგანიზაციებთან. მათ, როგორც დონორებმა და პარტნიორებმა, დიდი წვლილი შეიტანეს ერთობლივი ტრენინგებისა და სემინარების ორგანიზებაში.

<u>ჩვენი პარტნიორები 2023 წელს იყვნენ:</u>

- შვედეთის მთავრობა;
- USAID-ის ეკონომიკური მმართველობის პროგრამა;
- გაეროს გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელი;
- გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის ორგანიზაციის (GIZ) ტყის სექტორის რეფორმის (ECO Georgia) პროექტი.

<u>ჩატარებული ტრენინგები და სემინარები:</u>

2023 წელს სააგენტოს სასწავლო ცენტრში ჩატარდა ტრენინგების 13 ციკლი (ნაკადი), რომელშიც მონაწილეობდნენ მსმენელები საქართველოს ყველა რეგიონიდან. მსმენელთა ჯგუფებში წარმოდგენილი იყვნენ სახელმწიფო უწყებების, 71 მუნიციპალიტეტისა და თვითმმართველი ქალაქების მერიების, გამგეობებისა და საკრებულოების შესყიდვების სპეციალისტები, საქართველოს მთავარი პროკურატურისა და ბიზნეს-ორგანიზაციების წარმომადგენლები (იხ.სურ.1).



სურ.1. ტრენინგებზე წარმოდგენილი ქვეყნის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულები.

ტრენინგის მიზნობრივი ჯგუფი	მსმენელები რაოდენობა
"საჯარო შესყიდვების შესახებ" ახალი კანონის წარდგენა;	18
„სახელმწიფო შესყიდვების კურსი";	296
„ენერგოეფექტური საჯარო შესყიდვების შესახებ მეთოდური მითითებები და რეკომენდაციები შემსყიდველი ორგანიზაციებისთვის";	20
სასწავლო კურსი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" შერჩეულ საკითხებზე;	13
სასწავლო კურსი „როგორ მივიღოთ მონაწილეობა სახელმწიფო შესყიდვებში და მივაღწიოთ წარმატებას".	17
ჯამი	**364**

სახელმწიფოს შესყიდვების სააგენტოს სასწავლო ცენტრში, სააგენტოს თანამშრომლების მიერ, 2023 წლის იანვარი-დეკემბრის მონაცემებით ჩატარდა ტრეინინგების 13 კურსი თემაზე **„სახელმწიფო შესყიდვების კურსი“.**
აღნიშნული ტრეინინგის ფარგლებში, ჯამში გადამზადდა 296 სპეციალისტი, რომლებიც შესყიდვების კუთხით, დასაქმებულები არიან სახელმწიფო უწყებებში, მათზე დაქვემდებარებული სსიპ-ებსა და შპს-ებში, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში, მათ მიერ დაფუძნებულ და მათ მართვაში არსებულ ააიპ-ებში. მონაწილეებს ტესტირების საფუძველზე გადაეცათ სერტიფიკატები.

ასევე, საბაზისო კურსის გარდა, დამატებით 2 ტრენინგი ჩატარდა განსხვავებული პროგრამებით: USAID-ის ეკონომიკური მმართველობის პროგრამისა და USAID-ის ადგილობრივი მმართველობის პროგრამის ხელშეწყობით, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსთან, ასოციაცია „ანიკას“-თან და „მაკ-ჯორჯია“-სთან თანამშრომლობით 28 თებერვლიდან 2 მარტის ჩათვლით, სასტუმრო რედისონ ბლუ ივერიაში 13 შშმ პირს ჩაუტარდა კურსი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ შერჩეულ საკითხებზე. კურსის მონაწილეებს გადაეცათ შესაბამისი სერთიფიკატები.

ასევე, აპრილის თვეში გაიმართა სემინარი თემაზე “როგორ მივიღოთ მონაწილეობა სახელმწიფო შესყიდვებში და მივაღწიოთ წარმატებას“. პროგრამა განხორციელდა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს სასწავლო ცენტრის, USAID-ის ეკონომიკური მმართველობის პროგრამასთან და ბიზნეს ასოციაციასთან „ქალები მომავლისთვის” ერთად. სემინარზე გადამზადდა და სერთიფიკატი გადაეცა 17 მეწარმე ქალბატონს.

ასევე, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს გერმანიის ენერგეტიკული სააგენტოს მისია სტუმრობდა, რომლის მიზანიც საქართველოში ენერგო ეფექტური საჯარო შესყიდვების პრინციპების დანერგვა და გერმანიისა და ევროპის მოწინავე ქვეყნების გამოცდილების გაზიარებაა.
პროექტის ფარგლებში შემუშავდება ენერგოეფექტური საჯარო შესყიდვების შესახებ მეთოდური მითითებები და რეკომენდაციები შემსყიდველი ორგანიზაციებისთვის.
აღსანიშნავია, რომ აღნიშნული პროექტი ხორციელდება გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის ორგანიზაციის (GIZ) ტყის სექტორის რეფორმის (ECO Georgia) პროექტის ფარგლებში.
სამუშაო შეხვედრა გაიმართა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს წარმომადგენელების მონაწილეობით. სტუმრებმა წარმოადგინეს ენერგოეფექტური საჯარო შესყიდვების საუკეთესო პრაქტიკა, გაიმართა დისკუსიები მეთოდური მითითებებისა და რეკომენდაციების შემუშავების მიზნით. შეხვედრის ფაგლებში კვალიფიკაცია აიმაღლა 20 სპეციალისტმა.

გაეროს გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ შვედეთის მთავრობის მხარდაჭერით ორგანიზებულ იქნა შეხვედრა ბიზნესის წარმომადგენლებთან, რომელსაც ესწრებოდა 18 მოწვეული სტუმარი.

2023 წელს ჯამში გადამზადდა 364 მსმენელი.

2014 წლიდან 2023 წლის ბოლომდე, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს სასწავლო ცენტრში გადამზადებული და სერტიფიცირებულია 3440 შესყიდვების კუთხით დასაქმებული სპეციალისტი. მათ შორის: 1917 მსმენელი ცენტრალური ხელისუფლების სახელმწიფო უწყებებიდან, 1453 ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და მათ მიერ დაფუძნებული საჯარო და კერძო სამართლის იურიდიული პირების შესყიდვების სფეროში დასაქმებული სპეციალისტი, ხოლო 70 ბიზნეს-სექტორის წარმომადგენელი. ამ რიცხვში არ არის მითვლილი სემინარებსა და სხვა ტიპის საინფორმაციო-საკონსულტაციო შემეცნებით შეხვედრებზე მოწვეული მსმენელები; მათმა რაოდენობამ შეადგინა - სულ 358 მსმენელი. ასევე ერთდღიანი ტრენინგების კურსით გადამზადებული - 678 მსმენელი და მუნიციპალიტეტების მერიებიდან 117 მსმენელი;

ონლაინ ტრენინგების ფარგლებში - 2098 მსმენელი; „სახელმწიფო შესყიდვები: არსებული რისკები, დამკვიდრებული პრაქტიკა და გაკვეთილები შიდა აუდიტორებისთვის“ – 100 მსმენელი, საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ფინანსისტთა ასოციაციის მხარდაჭერით - გამარტივებული შესყიდვები / ცენტრალიზებული შესყიდვები - 32 მსმენელი; სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოსა და სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თანამშრომლობით გასვლით ტრენინგზე გადამზადდა 40 შესყიდვების სპეციალისტი; სახელმწიფო შესყიდვების სპეც-კურსი სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისთვის - 18 სპეციალისტი;(ონლაინ: სპეციალიზებული კურსი - 152 სპეციალისტი; შესყიდვების საბაზისო კურსი დისტანციურად - 197 სპეციალისტი; კურსი დამწყებთათვის - 147 სპეციალისტი).

ჯამში, 2014 წლის ოქტომბრიდან 2023 წლის დეკემბრამდე, სააგენტოს სასწავლო ცენტრის მიერ გადამზადებულია 7019 მსმენელი.

სახელმწიფო შესყიდვების კურსის თემატიკა

- სახელმწიფო შესყიდვების პროცესის / ეტაპების ზოგადი მიმოხილვა;
- სახელმწიფო შესყიდვების არსი და მოქმედების სფერო;
- სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობა, სხვა ნორმატიული აქტები და მათი ურთიერთკავშირი სახელმწიფო შესყიდვებთან;
- ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა განხილვა;
- დღგ-ს ფაქტორი სახელმწიფო შესყიდვების პროცესში;
- შესყიდვის საშუალებების ზოგადი მიმოხილვა;
- სახელწიფო შესყიდვების დაგეგმვა და ერთგვაროვნების დადგენის წესი;
- ერთგვაროვნების დადგენა (Common Procurement Vocabulary – CPV კოდები);
- სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემა და სააგენტოს ოფიციალური ვებ-პორტალი;
- შესყიდვის დაგეგმვა, ბაზრის კვლევა/სავარაუდო ღირებულების განსაზღვრა, გეგმის რეგისტრაცია - ePLAN მოდულში, მონეტარული ზღვრები, სახელმწიფო შესყიდვების გეგმის შესაბამისობის დადგენა ბიუჯეტთან, შესყიდვების გეგმის კორექტირება;
- გამარტივებული შესყიდვა და ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ;
- შესყიდვები ხელშეკრულებით - ხელშეკრულების პირობები, ცვლილება ხელშეკრულებაში, ინტერესთა კონფლიქტი, ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია და საავანსო ანგარიშსწორება, საჯარიმო სანქციები;
- შესყიდვები ხელშეკრულების დადების გარეშე - ხელშეკრულების ჩანაცვლება შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტით (ინტერნეტ-გამოწერა, წარმომადგენლობითი და სხვა შემთხვევები);
- ანგარიშგება - CMR მოდულის გამოყენება და ანგარიში ხელშეკრულების მიმდინარეობის თაობაზე;
- სატენდერო კომისიისა და სატენდერო კომისიის აპარატის შექმნა, მისი ფუნქციები, მოვალეობები;
- შესყიდვის ობიექტის სპეციფიკის გათვალისწინებით მოთხოვნების განსაზღვრა;

- სატენდერო დოკუმენტაციის, სატენდერო განცხადების შედგენა და საკვალიფიკაციო მოთხოვნები, ცვლილებები, ტენდერის გამოცხადება;
- ტენდერის განსაკუთრებული შემთხვევა, ერთობლივი, ორ ეტაპიანი ტენდერები და სხვა;
- სატენდერო წინადადების წარდგენა, ვადები, ელექტრონული ვაჭრობა;
- ოქმების/შეტყობინებების შედგენა/სტატუსების მინიჭება, ხელშეკრულების გაფორმება, ხელშეკრულების მიმდინარეობის თაობაზე ანგარიშის წარდგენა;
- შავი და თეთრი სია;
- კონსოლიდირებული ტენდერი;
- კონკურსის მომზადება - საკონკურსო განცხადებისა და დოკუმენტაციის მომზადება, გამოცხადება, შედეგების განხილვა და ხელშეკრულების გაფორმება;
- გამარტივებული შესყიდვის განხორციელების შეთანხმება სააგენტოსთან;
- სასამართლო პრაქტიკის განზოგადება;
- მოსალოდნელი ცვლილებები და დაგეგმილი სიახლეები საჯარო შესყიდვების კანონმდებლობაში;
- ახალი შესყიდვის საშუალებები: ტენდერი ვაჭრობის რაუნდების გარეშე და ორეტაპიანი ტენდერი;
- მოსალოდნელი ცვლილებები და დაგეგმილი სიახლეები საჯარო შესყიდვების სფეროში;
- რისკების კომუნიკაცია / სტრატეგიული კომუნიკაცია.

სასწავლო ცენტრის ტრენერები

სახელმწიფო შესყიდვების კურსს უძღვებოდნენ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ხელმძღვანელი პირები (დეპარტამენტების, სამსახურებისა და სამმართველოების უფროსები) და სხვა კომპეტენტური ექსპერტები, რომელთაც შეთავსებული აქვთ ტრენერის ფუნქცია. ესენი არიან:

1. **ალექსანდრე ჩხიკვიშვილი** - ანალიტიკური სამსახურის ექსპერტ-ანალიტიკოსი;

2. **კონსტანტინე გუგეშაშვილი** - მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსი;

3. **მაია კუხალეიშვილი** - მონიტორინგის დეპარტამენტის კონკურსების, გეგმებისა და გამარტივებული ხელშეკრულებების მონიტორინგის სამმართველოს უფროსი;
4. **გიორგი ლაცაბიძე** - იურიდიული დეპარტამენტის უფროსი;

5. **გიორგი გოგიბერიძე** - მონიტორინგის დეპარტამენტის ტენდერების მონიტორინგის სამმართველოს უფროსი;
6. **თამარ გორდელაძე** - იურიდიული დეპარტამენტის სამართალწარმოების სამმართველოს უფროსი;
7. **ანა ჭანია** - ანალიტიკური სამსახურის უფროსი;

8. **ირაკლი გოლეთიანი** - გამარტივებული შესყიდვის შეთანხმების სამსახურის უფროსი;
9. **ნინო კვაჭაძე** - იურიდიული დეპარტამენტის სამართლებრივი უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი;
10. **თეონა დანელია** - ცენტრალიზებული შესყიდვების დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი;
11. **სალომე მელაშვილი** - ცენტრალიზებული შესყიდვების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე;
12. **თამუნა კაკაშვილი** - იურიდიული დეპარტამენტის სამართალშემოქმედებითი და საკონსულტაციო საქმიანობის სამმართველოს უფროსი;
13. **კახა მაღრაძე** - მოწვეული ექსპერტი.

სასწავლო ცენტრის ადმინისტრაცია